ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 11-032529624-03
თარიღი: 23.10.2025 15:26
ვადა: 24.11.2025

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2
განცხადების N: 03-032529623 განცხადების თარიღი: 23.10.2025
ხელმომწერი: ზურაბ აბაშიძე თანამდებობა: საკრებულოს თავ-რე

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ადმინისტრაცია
ინიციატივა/წინადადება/პეტიცია
ინიციატივა

მოთხოვნის ტექსტი

სამართლებრივი აქტების ინიცირება

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 11-032529624-03
23.10.2025 : 15:26
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

წერილის ნომერი: **03-032529623**
თარიღი: **23/10/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, 44-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, წარმოგიდგენთ: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის N8-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი: 16 ფურცელი.

პატივისცემით,

ზურაბ აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №----
2025 წლის ----- ოქტომბერი ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 19.07.2014წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.101.016001) და დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის:

ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულო შედგება 50 წევრისაგან, რომელთაგან 25 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 25 წევრი – პროპორციული წესით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, 10 საარჩევნო ოლქის მიხედვით.“

ბ) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საკრებულოს თანამდებობის პირს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება აგრეთვე „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში.“

გ) მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) იმუშაოს სასამართლო ხელისუფლებისა და პროკურატურის ორგანოებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში;“.

დ) მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) იმუშაოს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ზედამხედველობას უწევს მუნიციპალიტეტის ორგანოებს;“

ე) 15^6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წარმომადგენლობის ფუნქციონირებისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საკრებულოსთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში ყოველთვიურად გამოიყოფა 10 000 (ათი ათასი) ლარი.“

ვ) 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო ან საჯარო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.“

ზ) 51-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 51

1. ახალარჩეული საკრებულოს და მისი წევრების უფლებამოსილება იწყება შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების იმ შემაჯამებელი ოქმის/ოქმების ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-14 დღიდან, რომლითაც/რომლებითაც დასტურდება საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის არჩევა. ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება მოქმედ საკრებულოს.

2. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ახალარჩეული საკრებულოს უფლებამოსილების დაწყებიდან 30 დღეში იწვევს საკრებულოს პირველ სხდომას. საკრებულოს პირველ სხდომას ხსნის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საკრებულოს სხდომებს საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება საკრებულოს უხუცესი წევრი.

3. საკრებულოს ახალი შემადგენლობის პირველი სხდომა გაიხსნება, თუ მას ესწრება (რეგისტრირებულია) ახალარჩეული საკრებულოს სრული შემადგენლობის

ნახევარზე მეტი. საკრებულოს წევრთა რეგისტრაციას ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული მოწმობის საფუძველზე ახორციელებს საკრებულოს აპარატი. სხდომაზე დასწრებას საკრებულოს წევრები ადასტურებენ სარეგისტრაციო ფურცელზე ხელის მოწერით ან ელექტრონული რეგისტრაციით.

4. საკრებულოს აპარატი ტექნიკურად უზრუნველყოფს საკრებულოს პირველი სხდომის მიმდინარეობას.“.

თ) 52-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 52

საკრებულოს ახალი შემადგენლობის პირველი სხდომა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გახსნის შემდეგ, როგორც წესი მიმდინარეობს შემდეგი დღის წესრიგის შესაბამისად:

ა) ირჩევს საკრებულოს თავმჯდომარეს;

ბ) ირჩევს საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს;

გ) ირჩევს მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელს;

დ) იღებს გადაწყვეტილებას ფრაქციების რეგისტრაციის შესახებ;

ე) განსაზღვრავს და ამტკიცებს საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს;

ვ) ცნობად იღებს საკრებულოს კომისიების შემადგენლობას;

ზ) ირჩევს საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებს.“.

ი) 69-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის შემდეგ, თუ მასში ცვლილებების შეტანა არ იქნა მოთხოვნილი, დაუყოვნებლივ იმართება კენჭისყრა. საკრებულო სამართლებრივ აქტს იღებს საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.“.

კ) თავი XIV-ის შემდგომ დაემატოს თავი XV შემდეგი რედაქციით:

„თავი XV გარდამავალი დებულებები

მუხლი 83

2029 წლის არჩევნებში არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობამდე 1 პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ საკრებულოს წევრებს უფლება აქვთ,

საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ამ რეგლამენტით საკრებულოს ფრაქციის შექმნისთვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შექმნან სხვა ფრაქცია, თუ ისინი პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა, როგორც საკრებულოს წევრობის უპარტიო კანდიდატები, ან თუ ისინი დატოვებენ შესაბამისი პოლიტიკური პარტიის წევრობას და გაწევრდებიან სხვა პოლიტიკურ პარტიაში.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 29 ოქტომბრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი, პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებული რიგი ცვლილებების შესაბამისად, მიზანშეწონილია ასევე განხორციელდეს აღნიშნული ცვლილებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში. კერძოდ: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 155-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „თბილისის საკრებულო შედგება 50 წევრისაგან, რომელთაგან 25 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 25 წევრი – პროპორციული წესით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე“.

ამავე კოდექსის 135-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „ახალარჩეული საკრებულოს და მისი წევრების უფლებამოსილება იწყება შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების იმ შემაჯამებელი ოქმის/ოქმების ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-14 დღიდან, რომლითაც/რომლებითაც დასტურდება ამ საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის არჩევა. ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება შესაბამის მოქმედ საკრებულოს. თუ ახალარჩეული საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის არჩევა აღნიშნული არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმით/ოქმებით არ დასტურდება, ინიშნება შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელახალი არჩევნები.“

ამასთან, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შეტანილი ცვლილებების თანახმად, საკრებულოს რეგლამენტშიც უნდა მოხდეს შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. კერძოდ, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღება; ასევე ამავე კოდექსს გარდამავალ დებულებებში დაემატა მუხლი 165[1] რომლის თანახმადაც, 2029 წლის არჩევნებში არჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობამდე 1 პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება აქვთ, ამ კანონით მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის შექმნისთვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შექმნან სხვა ფრაქცია, თუ ისინი პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის უპარტიო კანდიდატები, ან თუ ისინი დატოვებენ შესაბამისი პოლიტიკური პარტიის წევრობას და გაწევრდებიან სხვა პოლიტიკურ პარტიაში.

ყოველივე ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, საკრებულოს რეგლამენტში ხდება შესაბამისი ფორმულირებით მოცემული და სხვა ტექნიკური ცვლილებების ასახვა.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) მიზანი:

წარმოდგენილი პროექტის მიღების მიზანია, საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისობაში მოყვანა საკანონმდებლო ცვლილებებთან.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო/ხარჯვით ნაწილზე.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ზურაბ აბაშიძე.

ვ) პროექტის წარმდგენია:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ზურაბ აბაშიძე.

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N

„---“ ---------- 2025 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge; გამოქვეყნების თარიღი 16/01/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016452) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 30 ოქტომბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირები

თანამდებობა	რანგი	კატეგორია	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
საკრებულოს თავმჯდომარე			1	9660
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე			1	9198
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე			2	8760
კომისიის თავმჯდომარე			11	7300
ფრაქციის თავმჯდომარე			4	7300
ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე			11	5840
საშტატო რიცხოვნობა			30	

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები

თანამდებობის დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) – ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების დანერგვის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი	**1**	**8500**
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (აპარატის უფროსის მოადგილე) – შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი	**1**	**6570**
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (აპარატის უფროსის მოადგილე) – ინფორმაციული უსაფრთხოების პროცესების ორგანიზების სპეციალისტი	**1**	**6570**
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (აპარატის უფროსის მოადგილე) - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი	**1**	**6570**
სულ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი: 4		

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნო

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი) – ინფორმაციული უსაფრთხოების პროცესების ორგანიზების სპეციალისტი	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	5110

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თანაშემწე – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი)	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	2	3650
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თანაშემწე)	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	5	3066
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თანაშემწე)	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	2	3066
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2628
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თანაშემწე)	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3066
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	2	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2628
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თანაშემწე)	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3066
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	1	2628
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2628
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი) – ინფორმაციული უსაფრთხოების დანერგვისა და ექსპლუატაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის სპეციალისტი	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	5110
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თანაშემწე)	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3066
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3066
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	5	2774
მეორე კატეგორიის უფროსი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2628

სპეციალისტი				
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	2	2336
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	3	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	1	2628
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2336
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	2	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2628
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2628
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2336
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	2	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	1	2628
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2336
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2628
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2336
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	3	2774

მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2628
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	2	2336
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2628
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2336
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2628
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2336
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	5	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	3	2628
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თანაშემწე)	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3066
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	12	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2628
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2628
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2336
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	2	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	4	2628
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	6	2336
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)	II რანგი (საშუალო მართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	3	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2628
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)	II რანგი (საშუალო მართველობითი დონე	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	4	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	1	2628
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) – ინფორმაციული უსაფრთხოების დანერგვისა და ექსპლუატაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის სპეციალისტი	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	5110
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	9	2774
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	2	2336
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	6	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	1	2628
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	3	2628
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	2	2336
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროტოკოლის განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	3	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2628
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2336
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საგარეო ურთიერთობათა განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2628
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2336
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) – კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტი	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	5110
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	3	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	1	2628
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2336
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4526
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	9	2774
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	1	2628
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	2	2336
	სულ: საშტატო რიცხოვნობა 194			

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტით, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის ნაწილში ხორციელდება ცვლილება, რომელიც გულისხმობს ერთი საშტატო ერთეულის დამატებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების გათვალისწინებით.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო/ხარჯვით ნაწილზე.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ზურაბ აბაშიძე.

ვ) პროექტის წარმდგენია:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ზურაბ აბაშიძე.

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №--------
2025 წლის ---------- ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის №8-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის №8-15 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 18/09/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016015) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. აპარატის უფროსს ჰყავს სამი მოადგილე, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 30 ოქტომბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

განმარტებითი ბარათი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის №8-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

ვინაიდან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის ნაწილში ხორციელდება ცვლილება, რომელიც გულისხმობს ერთი საშტატო ერთეულის დამატებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულოს აპარატის დებულებაში განხორციელდეს ასევე შესაბამისი ცვლილება.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო/ხარჯვით ნაწილზე.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ზურაბ აბაშიძე.

ვ) პროექტის წარმდგენია:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ზურაბ აბაშიძე.